№1563 2015 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-2 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 6 ივლისის №5/40728 გადაწყვეტილება ქალაქ ბორჯომში, 9 აპრილის ქ. №50-ში (მინწყლებისა და დასვენების პარკი) მდებარე 87509 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: 1. არასაცხოვრებელი 2242 კვ.მ განაშენიანების ფართი. 2. არასაცხოვრებელი 277 კვ.მ განაშენიანების ფართი. 3. არასაცხოვრებელი 26 კვ.მ განაშენიანების ფართი. 4. არასაცხოვრებელი 50 კვ.მ

განაშენიანების ფართი. 5. არასაცხოვრებელი 238 კვ.მ განაშენიანების ფართი. 6. არასაცხოვრებელი 66 კვ.მ განაშენიანების ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №64.23.03.181) ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**